სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია შოთა მესხიას

ზუგდიდის სახელმწიფო

სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს # ------ დადგენილებით

„ ---------‘‘   „ ----------------------  “  2020 წელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

# დეკორატიული მებაღეობა

**0812**

*პროგრამის ხელმძღვანელი: ლარისა თირქია / მაგდა ბეჭვაია*

*საკონტაქტო ინფორმაცია:*

მისამართი: ზუგდიდი, ჯანაშიას #14
სენაკი, მშვიდობის ქ.#192
ტელეფონი: 0 415 25 62 17
ვებ გვერდი : zssu.ge

ზუგდიდი

2020 წელი

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე** - დეკორატიული მებაღეობა / Horticulture

2. **ჩარჩო დოკუმენტის "მებაღეობა" - სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:** - 08111-პ

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე**

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში / Secondary Vocational Qualification in Horticulture

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მებაღეობა, კოდი: 0812, აღმწერი - *„შეისწავლის მებაღეობის ტექნოლოგიებსა და მენეჯმენტს, მეყვავილეობას, სასათბურე მეთოდებს, სანერგეების მართვას, ლანდშაფტის მებაღეობასა და სხვა".*

4. **მიზანი**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მებაღეობის სფეროსთვის მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები.

საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირებისთვის პროფესიის შესწავლის პარალელურად სრული ზოგადი განათლების მიწოდება და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება, რაც სრულდება ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომის გაცემით

5. **დაშვების წინაპირობა**

- სრული ზოგადი განათლება - საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- საბაზო ზოგადი განათლება - საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

6. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია - ბოტანიკური ბაღი, ქალაქის გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახური, პარკები, სკვერები, დეკორატიული მცენარეების სანერგე მეურნეობები, დახურული გრუნტისა და სასათბურე მეურნეობა, სამშენებლო კომპანია, დიზაინერული პროფილის ოფისები.
დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორში (ISCO) იდენტიფიცირებული კოდებია - 6113, 9214
დასაქმების პოზიციები:

- მებაღე

- ლანდშაფტის მებაღე
- ბაღის მომვლელი
- გაზონის მთიბავი
- სანერგეს მეურნეობის დამხმარე
- ბაღის მოწყობის სპეციალისტი.

7. მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

8. სტრუქტურა და მოდულები

ა) -სრული ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროგრამა „დეკორატიული მებაღეობა" ითვალისწინებს 85 კრედიტს და მოიცავს:

- ✓ ზოგად მოდულებს - 12 კრედიტი;
- ✓ საერთო სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს - 23 კრედიტი;
- ✓ სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს - 50 კრედიტი;

| ზოგადი მოდულები | | |
|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1.1 | ინფორმაციული წიგნიერება 1 | 3 |
| 1.2 | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | 3 |
| 1.3 | მეწარმეობა 2 | 2 |
| 1.4 | ინგლისური ენა | 4 |
| | ჯამი | 12 |
| საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულები | | |
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1.5 | გაცნობითი პრაქტიკა | 2 |
| 1.6 | მცენარეთა სისტემატიკა | 2 |
| 1.7 | დეკორატიული მცენარეები | 10 |

| | | |
|---|---|---|
| 1.8. | ბაღში ჩასატარებელი აგროტექნიკური ღონისძიებები | 2 |
| 1.9. | დეკორატიულ მცენარეთა მავნე ორგანიზმების იდენტიფიცირება | 2 |
| 1.10. | ნიადაგების იდენტიფიცირება | 1 |
| 1.11. | საქართველოს ფლორა | 2 |
| 1.12. | გარემოსდაცვითი საფუძვლები | 2 |
| | **ჯამი** | **23** |
| **სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულები** | | |
| 1.13. | ნიადაგი და მისი მომზადება | 5 |
| 1.14. | ბაღის  მოვლა | 7 |
| 1.15. | დეკორატიულ მცენარეთა გამრავლება | 6 |
| 1.16. | მცენარეთა სხვლა-ფორმირება | 6 |
| 1.17. | მცენარეთა დაცვა | 3 |
| 1.18. | გაზონის მოწყობა  და მოვლა | 3 |
| 1.19. | ბაღის  საინჟინრო ელემენტების მოწყობა | 7 |
| 1.20. | ბაღის მხატვრული  ელემენტების  მოწყობა | 7 |
| 1.21. | პრაქტიკული პროექტი მებაღეობაში - კონკრეტული ტერიტორიისთვის პროექტის მიხედვით ბაღის მოწყობა | 6 |
| | **ჯამი** | **50** |
| | სულ ჯამი: | **85** |

- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - **85 კრედიტი -**
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის-  **115 კრედიტი-**
  (ქართული ენა A1-15 კრედიტი,  ქართული ენა B1-15  კრედიტი)

ბ) საბაზო ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროგრამა „დეკორატიული მებაღეობა“ , სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ითვალისწინებს 140 კრედიტს და მოიცავს:

- ✓ ზოგად მოდულებს - 7 კრედიტი
- ✓ ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს - 60 კრედიტი
- ✓ საერთო სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს - 23 კრედიტი;
- ✓ სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს - 50 კრედიტი;

| ინტეგრირებული ზოგადი მოდულები | | | |
|---|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | მოდულზე დაშვების წინაპირობა | კრედიტი |
| 2.1 | კომუნიკაცია ქართულ ენაზე | საბაზო განათლება | 14 |
| 2.2 | მეწარმეობა | საბაზო განათლება | 4 |
| 2.3 | მათემატიკური წიგნიერება | საბაზო განათლება | 14 |
| 2.4 | მეცნიერება და ტექნოლოგიები | საბაზო განათლება | 18 |
| 2.5 | მოქალაქეობა | საბაზო განათლება | 10 |
| | **ჯამი** | | **60** |
| ზოგადი მოდულები | | | |
| 2.6 | ინგლისური ენა | - | 4 |
| 2.7 | ინფორმაციული წიგნიერება 1 | - | 3 |
| | **ჯამი** | | **7** |
| საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულები | | | |
| № | მოდულის დასახელება | | კრედიტი |
| 2.8 | გაცნობითი პრაქტიკა | | 2 |
| 2.9 | მცენარეთა სისტემატიკა | | 2 |
| 2.10 | დეკორატიული მცენარეები | | 10 |
| 2.11 | ბაღში ჩასატარებელი აგროტექნიკური ღონისძიებები | | 2 |
| 2.12 | დეკორატიულ მცენარეთა მავნე ორგანიზმების იდენტიფიცირება | | 2 |
| 2.13 | ნიადაგების იდენტიფიცირება | | 1 |

| | | |
|---|---|---|
| 2.14. | საქართველოს ფლორა | 2 |
| 2.15. | გარემოსდაცვითი საფუძვლები | 2 |
| | **ჯამი** | **23** |
| **სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულები** | | |
| 2.16. | ნიადაგი და მისი მომზადება | 5 |
| 2.17. | ბაღის მოვლა | 7 |
| 2.18. | დეკორატიულ მცენარეთა გამრავლება | 6 |
| 2.19. | მცენარეთა სხვლა-ფორმირება | 6 |
| 2.20. | მცენარეთა დაცვა | 3 |
| 2.21. | გაზონის მოწყობა და მოვლა | 3 |
| 2.22. | ბაღის საინჟინრო ელემენტების მოწყობა | 7 |
| 2.23. | ბაღის მხატვრული ელემენტების მოწყობა | 7 |
| 2.24. | პრაქტიკული პროექტი მებაღეობაში - კონკრეტული ტერიტორიისთვის პროექტის მიხედვით ბაღის მოწყობა | 6 |
| | **ჯამი** | **50** |
| | **სულ ჯამი:** | **140** |

- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - **140 კრედიტი - 108 სასწავლო კვირა**
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- **170 კრედიტი-**
  (ქართული ენა A1-15 კრედიტი, ქართული ენა B1-15 კრედიტი)

**9. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამი სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს შეუძლია

1. დაამუშაოს ნიადაგი;
2. დარგოს და მოუაროს მცენარეებს ღია და დახურულ გრუნტში;
3. უზრუნველყოს დეკორატიული მცენარეების გენერაციული, ვეგეტატიური და ქსენოვეგეტატიური გზით გამრავლება;
4. უზრუნველყოს დეკორატიული ხეების, ხეხილის, დეკორატიული ბუჩქების, კენკროვანი ბუჩქების, ხვიარა მცენარეების, ვარდების სხვლა-ფორმირება;
5. მოაწყოს გაზონი, სარწყავი სისტემა, წყლის სარკეები, ბილიკი, კიბე, მოედანი;
6. დაგეგმოს და განახორციელოს ბაღის სხვადასხვა მხატვრული ელემენტებით (ყვავილნარი, ალპინარიუმი, როკარიუმი) მოწყობა.

## 10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „დეკორატიული მებაღეობა“, რომელშიც ასევე ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და ხორციელდება ორი ( მოდულური და დუალური) მიდგომით სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ზუგდიდისა და სენაკის ბაზაზე.

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „დეკორატიული მებაღეობა“ მოდულური მიდგომით ხორციელდება:

- ✓ სრული ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა- 16,5 თვე;
- ✓ საბაზო განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შეადგენს არანაკლებ 3 წელს.

**განხორციელდების ადგილი-- სენაკი, მშვიდობის ქ. #192**

ბ) სრული ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „დეკორატიული მებაღეობა“ ხორციელდება დუალური მიდგომით, სადაც სავალდებულო პროფესიული / დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 52 % რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა.

**დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელდების ადგილი --**
**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი“ -ზუგდიდი, რუსთაველის ქ. #90;**

## 11. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

სწავლის შედეგების დადასტურება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პროფესიულ სტუდენტს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება:

- ✓ განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
- ✓ განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ, მათი კომპენტენციის ფარგლებში სწავლება-სწავლის პროცესში ფასდება ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა, შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

**მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

**მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

12. კვალიფიკაციის მინიჭება

ა) პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რაზეც რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

ბ) დუალური მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-12 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

14. სამართლებრივი საფუძვლები:

1. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2018 წლის 11 ივლისის №628/ი ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ,,მებაღეობა“, რომელშიც ცვლილება შევიდა 2019 წლის 25 სექტემბრის N 880/ი ბრძანებით.

2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანება „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

დანართი 1 --სრული ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულური და დუალური მიდგომით განსახორციელებელი)

დანართი 2- საბაზო განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის

ნდანართი 3 - მემორანდუმები